ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.04.18

საჩივრის რეგისტრაციის №040/18

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 აპრილს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ს.-მ და მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2007 წლის 17 მაისს ის დაიბარა გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს მე-9 განყოფილების უფროსმა, სადაც მას დახვდა მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარე თავის ადვოკატ - დ. ა.-სთან ერთად. ამ შეხვედრისას ადვოკატმა დ. ა.-მ მას უბრძანა მიეტანა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი მისი

კლიენტისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბინიდან გამოასახლებდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით ამ შეხვედრის დროს "გაცეცხლებულმა" დ. ა.-მ მას შეაგინა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმისთვის, რომ ბინიდან არ გამოესახლებინათ, 17 მაისს მისი ადვოკატი და ადვოკატი დ. ა. შეთანხმდნენ, რომ მას 1 თვეში ანუ 17 ივნისამდე უნდა მიეტანა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი მოპასუხე მხარისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმავე დღეს 17 მაისს დ. ა. პოლიციის თანხლებით მივიდა მის სახლში, დაურეკა ხელოსანს და გამოაცვლევინა ბინის შესასვლელი კარის საკეტი, გასაღების ერთი ასლი დაიტოვა დ. ა.-მ, მეორე კი მისცა საჩივრის ავტორის ადვოკატს. ზ. ს.-ის განმარტებით, ამ დროს ის გახდა ცუდად და წყალიც კი არ მიაწოდეს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ მან დაახლოებით 2 თვე იცხოვრა თავის სახლში, შემდეგ კი ბინაში მისი არყოფნის დროს ადვოკატ დ. ა.-ის ბრძანებით ბინიდან გამოიტანეს მისი ნივთები, რომლებიც დააზიანეს, დალეწეს მისი გარდაცვლილი შვილის სურათები და მოიპარეს 100 (ასი) აშშ დოლარი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც მისი საქმის განხილვა მიმდინარეობდა სასამართლოში ადვოკატი დ. ა. საუბრობდა არასწორ ფაქტებზე და მას ხშირად უმეორებდა, რომ სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. ა.-ს ეთიკის კომისიის აპარატი ვერ დაუკავშირდა ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე:. ამის შემდეგ ადვოკატს საჩივარი გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით ერთიან სიაში მითითებულ მისამართზე: თბილისი, მ.-ის გამზირი, მე-X კვარტალი, მე-X კორპუსი, ბინა X. ადვოკატს გზავნილი არ ჩაბარდა, რადგან არავინ დახვდა მისამართზე.

2.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე". შესაბამისად, ადვოკატ დ. ა.-ისათვის შეტყობინება ზ. ს.-ის საჩივრის შესახებ ჩაბარებულად ითვლება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ა. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული. ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ზ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 16 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2007-2008 წლებში. მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ

დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2007-2008 წლისთვის) მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით, ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმისწარმოება, ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 22-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 კოლეგიის შეფასებით, მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. საჩივარში მითითებული შესაძლო დარღვევის ჩადენის და აღმოჩენის თარიღია 2007-2008 წლები. ამ დროს მოქმედი ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“ მოცემულ შემთხვევაში როგორც ქმედების ჩადენის, ისე აღმოჩენის დღიდან 2008 წლიდან, გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 10 წელზე მეტი დრო, საჩივრის ავტორის პრეტენზია ხანდაზმულია და ამ საფუძვლით ვერ იქნება განხილული. შესაბამისად, ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-2 პუნქტითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №040/18 ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/